საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია. შაბათი, 29 მარტი 1919 წ. პროლეტარეთო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ერთობა

ფასი 75 კაპ.

ფასი 1 ფოთი 18 ნაბეჭდი ფურცელი 75 კაპ. განცხადების ფასი, რიგითი პირველ გვერდზე, ასე შვიდსიტყვიანი 75 კაპ. ხუთ ფოთ. ... 1 მან. საბუღალტერო განცხადება 20 მან. ... ფასი 13 ს. ... ...

ᲓᲦᲔᲘᲡ

მოკავშირეთა ჯარების ხარდლობასთან დაკავშირებული ხელშეკრულების ძალაში ჩვენი მთავრობა მიიღებს საკმაო პურს, რითაც ხახურხათო კრიზისი მოსპობილი იქნება.

ჩერჩილის სიტყვით ინგლისის ჯარი კავკასიაში დარჩება სანამ საზავო კონფერენცია არ გადაწყვეტს კავკასიის ბედს.

უკრაინაში საბჭოთა ჯარებსა და პეტლიურას შორის ბრძოლა გრძელდება.

ბალშევიკების ცნობით 12—13 მარტს როსტოვში დენიკინსა და კრასნოვის მომხრეთა შორის შეტაკება მოხდა. დონის ოლქში საბჭოთა ჯარები წინ მიიწევენ.

ჩერჩილმა განაცხადა, რომ ინგლისის საოკუპაციო ჯარი იმ დროამდე დარჩება გერმანიის ტერიტორიაზე, ვიდრე გერმანია არ დაკმაყოფილებს ხელშეკრულების ყველა მუხლებს.

ლოიდ ჯორჯი საზავო კონფერენციაზე მიხულ პატარა ერების წარმომადგენელთ აფრთხილებს, რომ მათ არ შეუძლიათ გაძლიერება ტერიტორიის გაფართოებით.

ძელდა საქმე, თუ გამოსავალი გზა არ მოინახა, ის არავ დარეკა, რომელიც მოსალოდნელია სურსათით დარიბ მხარეებში, არ ასკვდებარც ამ მდიდარ მხარეებს.

„თვ. გირეა“ ანუ სპეკულიანტების „ქარგონი“

ძველად ბირეის სახელის ხსენებაზე, იმ ბირეს, სადაც ხდებოდა სხვადასხვა „სდელკები“, მოლაპარაკებანი და სხ., კაცს ძალაუნებურათ მოაგონდებოდა სიტყვები—კოტიროვკა, კულისები, ატოტაბი და სხ.

ეს ბირეა იყო ოფიციალური დაწესებულება, იქ შეიკრიბებოდენ ვაჭარ-მრეწველნი, ბანკირები. დანიშნულ დროზე გაიხსნებოდა კრება ოფიციალური თავმჯდომარის მიერ და დაიწყებოდა სხვადასხვა გვარი კომბინაციების მოწყობა...

დღეს ასეთი ბირეა არ მოიპოვება.

სად არის ეს „კერძო ბირეა“?

ყველგან, ყოველ დუქანში, ყოველ გზა ჯვარედინზე, სადაც კი ორი ან მეტი სპეკულიანტი ერთმანეთს შეხვდება.

ფულის დასახურდავებელი დუქნები, რომლებიც აგრე რიგათ გამრავდენ, თფილისში, „კერძო ბირეის“ ნაწილს შეადგენენ.

ყიდულობენ ფულს და ყიდიან.

გარეგნულის შეხედვით სამართებელი დანის გასალესი მალაზია გოლოვინის პროსპექტზე, ან შესაათე, აგრეთვე „კერძო ბირეაა“.

იქაც ყიდულობენ და ყიდიან ფულს, საქონელს, რკინის გზით მოსული საქონლის დუბლიკატებს ან საბაგავო კვიტანციებს.

მთელი თფილისი მოფენილია ამგვარი „კერძო ბირეებით“. რა საქონლის ფასი გინდათ, რომ ამ ბირეებში არ დაგწესონ?

ფასების აწევა-დაწევაზე თამაში და „კულისებში მუშაობა“ ადვილი საქმე შეიქნა ჩვ ნში.

თუ რომელიმე კერძო ბირეას სურს მაგ. ფქვილზე ფასის აწევა, ერთ-ერთ გაზეთში ცნობას გაავრცელებს, რომ არსად პური არ იშოვება, ქალაქში მოიპოვება მცირედი ნაწილი.

საკმაოა ეს ჭორი ცნობა რომელიმე გაზეთში დაბეჭდოთ, რომ ყველა „კერძო ბირეებზე“ პურის ფასმა მოიმატოს.

ამ გვარ მუშაობას ძველად ეწოდებოდა კულისებში მუშაობა. ახლა, რაც გეუბნოთ ის უწოდეთ, მხოლოდ ერთს უნდა მიექცეს ყურადღება: ჩვენში „კერძო ბირეების“ მუშაობა შეიძლება გამოყენებულ იქნას პოლიტიკურ ბრძოლის იარაღად.

„კერძო ბირეებს“ შეუძლია შექმნან სასურსათო კრიზისი რამდენიმე დღით, „კერძო ბირეასვე“ შეუძლია ჩვენი ფულის ფასის დაცემა...

ვინ ემსახურება ამ საქმეს, ასე ვთქვათ, „კულისებში“?

ის გაზეთები, რომლებიც თფილისის ბირეის „ბიულეტენებს“ ჰბეჭდავენ.

გუშინდელ ნომერში მაგ. „კავკასკოე სლოვო“ სწერს: „კერძო ბირეზე“ წინანდელებულათ ეჩვენება მისწრაფება ინგლისისა და რუსულ ვალიუტის შესყიდვისა“. შემდეგ ჩამოთვლილია რამდენს იღებენ ნიკოლოზის ფულს, „კერენსკის“ და სხვათა გადახურდავებაში.

„კერძო ბირეიდან“ მიღებულ ბიულეტენს ჰბეჭდავს ეს გაზეთი და ამით, ძველებურის ენით რომ ვთქვათ, „კულისები თამაშს ეწყვა“ ფასების აწევა-დაწევაზე—ახალი ენით რომ გამოვსთქვათ, „კავკასკოე სლოვო“ „კერძო ბირეებს“ ნიშანს აძლევს, მათი „ეარგონით“ ლაპარაკობს...

კიდევ ესატანი იქნებოდა, რომ ეს გაზეთი ადნიშნავდეს ამ „კერძო ბირეის“ ბინას—სადაც იწყოფება ის, ვინ ყიდულობს ან ყიდის მის მიერ ადნუსხული ფასებით, მაგრამ ის ამას არ შვრება, ის აშკარად აკავშირებს სპეკულიანტებს და განა ასეთი მოვლენა უყურადღებოთ უნდა ჩატარდეს?

„კერძო ბირეების“ მუშაობას მთავრობამ უეჭველად უნდა მიაქციოს სერიოზული ყურადღება. ძნელია ამ მოკლე შენიშვნაში იმის ადნუსხვა, თუ როგორ „კრახს“ უმზადებენ ეს „კერძო ბირეები“ ჩვენს წყობილებას...

გ. Შ.

მთავრობის ცნობა

პურზე ფასების აწევა პანიკას ჰბადებს მცხოვრებლებში და ამაღელვებელი ხმების გავრცელებას უწყობს ხელს. რესპუბლიკის მთავრობა აცხადებს, რომ პურის შესახებ ის შეუთანხმდა მოკავშირეთა ჯარების სარდლობას და ამ დღეებში საქართველოს მთავრობა მიიღებს საკმაო ფქვილს, რაც შეძლებას მისცემს მას მოსპოს ხასურსათო კრიზისი.

მთავრობაში

25 მარტის სხდომაზე მთავრობამ დადგინა:

— უფლება მიეცეს წითელი ჯვარის საზოგადოებას გაყიდოს ისეთი საგნები, რომელიც მაღე ფუჭდება.

— ადმოჩინოს ილია წინამძღვრიშვილს დახმარება 5,000 მანეთით.

— გადაიდოს შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში 200 000 მან. სოხუმის ოლქში ეპიდემიასთან საბრძოლველად და ლაზარეთების მოსაწყობად. ამ თანხის ასიგნოვკები უნდა მისცეს სამხედრო სამინისტრომ.

— მიენდოს აფხაზთა სახალხო საბჭოს გამოყოს საგამომძიებლო კომისია, რომელმაც მთავრობის წარმომადგენელთან ერთად უნდა გამოიძიოს საქართველოს ჯარის ნაწილთა მოქმედება სოხუმის ოლქში და გამოარკვიოს მიყენებული ზარალის რაოდენობა. ეხლა კი, ავანსის სახით, გადაიდოს შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში 50,000 მ. სამხედრო ფონდიდან დაზარალებულ-დევნილებს [illegible] ნილი ჟურნალის დამტკიცებამდე.

— 1) შესაძლებლად იქნას ცნობილი ყუბანთან და დონთან საფოსტო კონვენციის დადება იმავე პირობებში, როგორც სომხეთთან და ადერბეიჯანთან. 2) დაევალოს ფინანსთა მინისტრს შეიმუშაოს პროექტი ბანკების კონვენციისა და გაუგზავნოს მეზობელ სახელმწიფოს.

— რკინის გზით სამხედრო ტვირთის გადაზიდვის შესახებ დარჩეს ძველი წესი, ე. ი. ყველა სამხედრო ტვირთი იგზავნებოდეს არსებულ საელიტერო წინადადებით.

— მიეცეს გადასახადთა და სახელმწიფო ხაზინის სამმართველოს გამგეს ათ-მილიონიან ფონდიდან 34,195 მან. ქუთაისის გუბერნიის სახაზინო პალატის ყოფილ მოხელეთა საალიკვიდაციო ჯილდოთი დასაკმაყოფილებლად.

— გადაიდოს 100,000 მან. ათ მილიონიან ფონდიდან ხარჯთ-აღრიცხვის ანგარიშში, სამეჯნო განყოფილების მოხელეთა ჯამაგირების დასაკმაყოფილებლად.

— აიკრძალოს დროებით რკინის გზის სადგურებზე ყვირილიდან ფოთსა და ნატანებამდე კერძო პირთა და დაწესებულებათაგან სიმინდის ტვირთის მიღება და გაგზავნა 5 ფუთზე ზევით თითო მგზავრზე.

— შეწყდეს ილდოყანის ნავთის წარმოება და საალიკვიდაციოთ გადაიდოს 102,000 მანეთი ათ-მილიონიან ფონდიდან.

— სახელმწიფო დაწესებულებათა შიკრიკებს მათი მეტათ შეეიწროვებულ ნივთიერ მდგომარეობის გამო, მიეცეს, სახელმწიფო დაწესებულებათა სრულ ეკონომიზაციამდე და ახალ ნორმალურ ჯამაგირების დანიშვნამდე, აპრილის პირველ რიცხვებში ავანსით თვითეულს სამას სამას მანეთი მომავალ მომატებულ ჯამაგირების ანგარიშში. ამასთანავე ერთათ დაევალოს შრომის მინისტრს გამოიკვლიოს ყველა დანარჩენ სახელმწიფო დაწესებულებების მოსამსახურეთა მდგომარეობა, რომელთაც იანვრიდან არ მიიღეს ჯამაგირი და წარმოუდგინოს მთავრობას მომავალ ახლო სხდომაზე მოხსენება იმ საშუალებების შესახებ, რომელთაც შეიძლება მათი მდგომარეობის გამოუშჯობესება.

სოჭის ოლქის გარეშემ

27 მარტს სოც.-დემოკრატიულ ფრაქციაში მოხსენება გააკეთა სოჭის ოლქიდან დაბრუნებულმა ამხ. ხოჭოლავამ. მოგვყავს მოხსენების ზოგიერთი ადგილები:

სოჭის ოლქს,—ამბობს მომხსენებელი,—უაღრესად პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ეძლევა. სოჭის ოლქში ჩვენი ჯარების შესვლას და ბალშევიკების განდევნას ადგილობრივი მცხოვრებლები დიდის სიხარულით შეხვდენ. გვარდიელების ჩამოსვლამ ვ. ჯუღელის, ა. დგებუაძის და განსვენებულ ალ. მაისურაძის მეთაურობით კიდევ უფრო გააძლიერა თანაგრძნობა. მოეწყო ადმინისტრაცია და სრული წესრიგი დამყარდა. მოხდა გლეხთა ყრილობა, რომელშაც ერთხმად დადგინა, რომ დროებით საქართველოს საზღვრებში სურთ დარჩენა. შემდეგ მომხსენებელი ვრცლად ამბობს, თუ როგორ მოხდა სოჭის აღება და ჩვენი რაზმის ტყვეთ ჩავარდნა. ადგილობრივ მცხოვრებლებიდან მოხალისეთა არმიას დახმარება გაუწია ყველა სომხებმა, განურჩევლად მიმართულებისა. მათ გადაგვიჭრეს უკან დასახევი გზა. მომხსენებელი აგრეთვე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ საშინელ პროვოკაციას ქონდა იქ ადგილი. ეი პროვოკაციის ნიმუში: სოჭაში 60-დე შავრაზმელმა მოინდომა რუსთა ეროვნული საბჭოს დაარსება. სოჭის დემოკრატია და მუშები ორი საათით წინ შეგროვდნენ, იქონიეს მსჯელობა და გამოიტანეს დადგენილება, რომ გარემოება და მდგომარეობა სრულებით არ მოითხოვს რუსული ეროვნული საბჭოს დაარსებას. საერთოდ ყველა საბჭოებს უნდა ჩამოერთვათ ყოველგვარი პოლიტიკური უფლებები და მათ მიეცეს კულტურული ხასიათი. ეს ხალხი წითელი დროშებით გაემართა იმ დარბაზისაკენ, სადაც უნდა მომხდარიყო შავრაზმელთა კრება. კრება მოხდა და გამოიტანეს დადგენილება ეროვნული საბჭოს დაარსების წინააღმდეგ. იმავე ღამეს პროვოკატორებმა აფრინეს დეპეშა თფილისში მთავრობის თავმჯდომარესთან, ეკატერინოდარში—ინგლისის მისიის სახელზე, რომ სოჭის მცხოვრებნი მოითხოვენ რუსეთთან შეერთებას და სხვა. ასეთ პროვოკაციას არა ერთხელ ქონდა ადგილი.

დღეს მოხალისეთა აფიცრები, ჯარისკაცები, აგრეთვე პრესაც, აშკარად ტრაბახობდნენ, რომ ორი თვის განმავლობაში აუცილებლად თფილისში უნდა ვიქნეთო.

მოხალისეების რიცხვი სოჭის ოლქში, როგორც სარწმუნო წყაროებით მტკიცდ[illegible]

მოხალისეთა არმია სამი ელემენტისაგან შესდგება. პირველი—ოფიცერთა რაზმი. ეს რაზმი წინ მიდის და დისციპლინაც კარგი აქვს. მეორე ნაწილი ტყვე ბალშევიკ ჯარისკაცებისაგან. ამ ნაწილის ჯარისკაცები აშკარად აცხადებდენ, რომ თუ საქართველოზე გაილაშქრეს ჩვენ ჰაერში დავიწყებთ სროლასა, ჩვენ არ თანავუგრძნობთ მოხალისეთა არმიას, მაგრამ თუ მაინც მივდიეართ ფრონტებზე, ეს იმიტომ, რომ უკანიდან ტყვეის მტყორცნელები გვაქვს მოყენებული და რა ვქნათო. ამ ნაწილში დისციპლინა სუსტია. მესამე ელემენტს შეადგენენ ყუბანის ყაზახები; ეს უკანასკნელნი უკვე გაიწვია ყუბანის რადამ, მხოლოდ, ჯერ არ ვიცით, წავიდნენ თუ არა.

ისე დღე არ გაივლის, რომ საქართველოს შესახებ წერილები არ იყოს მოთავსებული იმაურ გაზეთებში. ყველა გაზეთები საქართველოს წინააღმდეგ შურის ძიებით გაჟღენთილ წერილებს თავსებენ.

მოხალისეები სასტიკად ეპყრობიან ადგილობრივ მცხოვრებთ. ძარცვა-გლეჯა უმაღლეს საფეხურს აღწევს. მცხოვრებნი მეტის მეტად უკმაყოფილნი არიან

X.

ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲑᲘ

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

28 მარტი.

ᲑᲐᲚᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

მოსკოვი. მარ. 27. **კიევი.** მარტ. 26. კორეტნის ფრონტიდან მიღებულ ცნობებით საბჭოთა ჯარმა დანხმარე ძალების საშუალებით მილინის მიმართულებით პეტლიურას ჯარს უკან დახევინა. **კიევი.** მარტ. 25. მარიტპოლიდან საბჭოთა ჯარი 15 ვერ. იწყოფება. ლუგანსკიდან იუწყებიან, რომ დონის როსტოვის ქუჩებზე 12 და 13 მარტს სისხლის ღვრა იყო. დენიკინის მოხალისეთ და კრასნოვის მომხრეთა შორის შეტაკება მოხდა. ამ შემთხვევით ისარგებლეს მუშებმა და დეპუტატთა საბჭო დაარსეს. შემდეგ არაფერი ცნობა არ მოსულა. ეს ცნობები მტკიცდება მით, რომ უეცრათ შესწყდა ტელეგრაფის ცნობების მიმოსვლა როსტოვსა, ყირიმსა და ადესის შუა. **ჩრდილოეთის ფრონტი.** პინეგის რაიონი. ჩვენი ჯარი შეტევაზე გადადგიდა და ბრძოლით დაიჭირა ტორომსკოე. **სამხრეთის ფრონტი.** დონეცის რაიონში ბრძოლით დავიჭირეთ სადგური კრინდაჩევკა და სადგურ შპეროვკის სამხრეთით 1 სოფელი. **კიევი.** მარტის 26. მივიღეთ ცნობა, რომ ნიკოლაევის ვერფზე დარჩა სრულიად დამზადებული ერთი დრედნოუტი და 2 კრეისერი. **კიევი.** მარტის 26. მივიღეთ უკრაინის ესდეკების ც. კ. და დირექტორიის მოწოდება, სადაც ნათქვამია, რომ აუცილებელია კავშირის გაწყვეტა მოკავშირეთა სარდლობასთან და რუსეთის საბჭოთა მთავრობასთან მოლაპარაკების დაწყება დამოუკიდებელ უკრაინის აღიარების საფუძველზე. უკრაინის ესდეკების ც. კ. წინადადება მისცა დირექტორიას უკრაინის ესდეკებისა და ცენტრის ესერებისაგან ახალი კაბინეტი შეადგინოს. თუ დირექტორიამ ეს პირობები არ მიიღო, მაშინ უკრაინის ესდეკები ხელს აიღებენ უკრაინის რესპუბლიკისთვის ბრძოლის პასუხისმგებლობაზე. **მინსკი.** მარტის 26. ბუნდის სრულიად რუსეთის კონფერენციაზე მიიღეს მემარცხენე ცენტრის რეზოლიუცია: მთელი ჩვენი ძალლონით დავეხმარებით საბჭოთა მთავრობას და მოვუწოდოთ წევრებს ჩაეწერონ წითელ ჯარში. ინტერნაციონალის საკითხის შესახებ დადგინეს შეუერთდენ მოსკოვის ინტერნაციონალს და მასთან ერთად ერთგული დარჩენ შეთანხმებითი ტაქტიკისა. ბუნდმა დადგინა კავშირი დაეპირის ბერნის კონფერენციასთან.

ადმოხავლეთის ფრონტი. ურალის რაიონში მდ. ურტაზე რამოდენიმე სოფელი დავიჭირეთ. ორსკის რაიონში მტრის იერიშები მოვიგერიეთ. სტერლიტამაკის მიმართულებით ფრტაზის რაიონში, ჩვენი ჯარი კანანიკოლის ქსარნინკენ იხევს. უფის რაიონში, ბელებეის რკ. გზ. ადგილ. ჩვენმა ჯარმა წინ წაიწია. ბუგულმეის რკ. გზასთან ჩვენმა ჯარმა უკან დაიხია. მოწინააღმდეგემ მდ. უკვზე სოფელი დაიჭირა. მეზწელინის რაიონში ჩვენმა მზვერავებმა კუზნეტოვი და პაინი გორი დაიჭირა. პერმის რაიონში რკინის გზის ჩრდილოეთით ჩვენი ჯარი უკან იხევს.

ᲔᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

ჩერჩილმა გამოაცხადა ზოგადი სქემა რეინის საოკუპაციო ჯარის გამოცვლისა იმ შემთხვევისთვის, თუ მას მოუხდა 1920 წელში იქ დარჩენა. შემდეგ ჩერჩილი შეეხო მუდმივ ჯარის რაოდენობას და შემადგენლობას, სტრატეგიულ განაწილებას, სამხედრო და პოლიტიკურ ეკონომიურ ახალ პირობებს, ადნიშნა მუდმივ ჯარის როლი ინდოეთში [illegible] და რა დამოკიდებულებაში უნდა იყვეს არმია, ფლოტი და საჰაერო ძალები. ჩერჩილმა ადნიშნა, რომ უნდა შეიქმნას ახალი ტიპის ოფიცერი, რომელიც ყოველ სამხედრო ფარგლებს უნდა იყოს გაცნობილი.

ჩერჩილმა სთქვა, რომ: 1) ჯარმა გაიარა განვითარების მხოლოდ 4 ეტაპი და უდიდესი მომქმედი არმიები დაითხოვეს; 2) საოკუპაციო ჯარები, რომელიც დაახლოვებით 900,000 კაცს უდრის, საჭიროთ იყო შემდგარი იძულებითი წესით; 3) მოხალისეთა რეგულიარული ჯარი შექმნეს გამოცდილ ძალებისგან. მას ყოველ დღე 1,000 კაცი ემატება; 4) მუდმივი ჯარი უნდა შედგეს გაწვეულ ახალგაზრდათაგან, რომელნიც, შეუსრულდებათ თუ არა 20 წელი, ადმოსავლეთში უნდა გაიგზავნონ ოთხის დროს ჯარის გასაცვლელად, სულო 14 ტერიტორიალურ დივიზიის გამოსაცვლელად მოხალისეთა ნაწილები უნდა შესდგეს. ჩერჩილმა სთქვა, რომ რადგან ჩვენი პასუხისმგებლობა დიდია, ამიტომ ჩვენი ჯარი არ უნდა დავიდეს იმ მინიმუმამდე, რომელიც ომამდე იყო, მაგრამ ჩვენ არ ვიცით ამ სფეროში რას აპირებენ სხვა სახელმწიფოები და ამიტომ ჩვენი სამხედრო სისტემის საკითხის საბოლოო გადაწყვეტა უნდა გადაიდოს. რუსეთში მოკავშირეთა ძალების ყოფნის შესახებ ჩერჩილმა სთქვა, რომ მოკავშირეთა ძალების, რომლის დიდ ნაწილს ბრიტანეთის ჯარი შეადგენს, ეკავა ჩრდილოეთ რუსეთის დიდი ნაწილი და მურმანის და არხანგელის ნავთსადგურებს ეყრდნობოდა. ეს ძალები იქ გაიგზავნა გერმანელების წინააღმდეგ საბრძოლველათ და ყველა ზომები უნდა მივიღოთ ჩვენი ძალების უზრუნველსაყოფათ. ჩვენ ვიკისრეთ აგრეთვე რამოდენიმე ვალდებულება ამ ოლქებში მცხოვრებთა მიმართ. ჩვენ გვყავს ჯარი კავკასიაში. კავკასიაში გავგზავნეთ ჩვენი ჯარი იმ მიზნით, რომ ამით უზრუნველგვეყო გერმანიის ჯარის იქიდან წასვლა. ჯარი ეხლა იქ დარჩება წესრიგის დასაცავათ, სანამ საზავო კონფერენცია არ გადასწყვეტს კავკასიის ბედს. ჩვენ იქ საკმაო ძალა გვყავს. ბაქოდან ბათუმამდე ყველგან ჩვენი ჯარი სდგას. საადმირალოს ყავს ფლოტი და შეიარაღებული ძალა კასპიის ზღვაზე. ჩერჩილმა ადნიშნა ჰოლკოვნიკ ჯონ-ვერდს და მის მცირე რაზმის დიდი მოღვაწეობა ომსკის ფრონტზე. უკანასკნელებმა შეკრეს გზა და ციმბირის მრავალ ოლქში არ შეუშვეს ბალშევიზმი. მშვიდობიანობის პირობების აუცილებლობა გვაიძულებს საჩქაროთ მივიღოთ გადაწყვეტილებანი. ჩვენ გადაძლიერებთ ბლოკადას და ვიყოლიებთ ძლიერ ჯარს, რომელიც მზათ იქნება პირველ დაძახებისთანავე გავიდეს ბრძოლაში. გერმანიაში ახლა დიდი შიმშილი იქნებოდა, რომ მას არ მიეღო ჩვენი პირობები, რომლის შესრულებ ჩვენ ენერგიული ზომები მივიღეთ სურსათით მის დასაკმაყოფილებლათ.

ყოველი დაყოვნება გერმანიის საკითხის გადაწყვეტაში შექმნის ახალ დიდ სარბიელს ანარქიისთვის. ყოველთ შეუძლებელია გერმანიიდან გავიყვანოთ ჩვენი საოკუპაციო ჯარი იმ დროამდე, სანამ დარწმუნებული არ ვიქნებით, რომ ის შეასრულებს ჩვენს პირობებს. ეს ჯარები აიძულებენ გერმანიას სამართლიანათ იმოქმედოს ადმოსავლეთის საზღვარზე და ამ ჯარის კეთილდღეობას დიდი მნიშვნელობა აქვს ევროპის პრობლემისთვის. ამიტომ ჩერჩილი მოითხოვს დიდი ძალები იქნას დატოვებული რეინის ტერიტორიაზე მანამდე, სანამ მომავალი უფრო ნათლათ არ გამოირკვევა. დასასრულ ჩერჩილმა ადნიშნა, რომ საჭირო გამარჯვებამ არ გაგვიტაცოს და მოვითხოვოთ იმაზე მეტი, რაც წესიერი და გონიერი იქნება.

ლონდონში ველშის ბანკეტზე ლოიდ ჯორჯმა ლაპარაკის დროს სთქვა, რომ ბრუნდება პარიზში, რათა უკანასკნელი ძალა იხმაროს კონფერენციის დასამოლოვებლათ, რადგან მთელ ქვეყანას სსწყურია ზავი. კონფერენციაზე პატარა ერებმა დიდი წარმატება მოიპოვეს, მაგრამ ჯორჯი აფრთხილებს მათ იმ შეცდარ აზრისგან, რომ მათ შეუძლიათ გაძლიერება ტერიტორიის გაფართოებით.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

შაბიამანის და გოგირდის შესაძენათ ჩვენმა მთავრობამ მიიღო ზომები. დაკვეთილია საზღვარ გარეთ 40,000 ფუთი გოგირდი და ამდენივე შაბიამანი, რომელსაც გასცვლიან საქონელზე—თამბაქოზე და მარგანეცზე.

◆ სასურსათო განყოფილების მოხმობა. სასურსათო განყოფილებიდან გაფიცულია, მეორე ნაწილი არ თანაუგრძნობს გაფიცვას, ამიტომ მუშაობა სასურსათო განყოფილებაში მიმდინარეობს ჩვეულებრივის წესით.

◆ საქართველოს მეგენახეთა საზოგადოება [illegible] **ბის წინაშე,** რომ საჭიროდ მოიწყოს საქართველოდან ღვინის გატანის საკითხი; წინადადებენ შემთხვევაში ღვინის საქმე საქართველოში შეჩერდება.

◆ სახალხო განათლების სამინისტროში. განხორციელებულია სახალხო განათლების სამინისტროში მოსამსახურე პირთა შეცვლა. საუბალო და უმაღლეს პირველდაწყებით სასწავლებელთა გამგე გ. ნათაძე თანამდებობიდან გადადგა.

◆ მინისტრი ნოე რამიშვილი იღებს მთხოვნელებს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესახებ ორშაბათობით და ხუთშაბათობით დილის 10—11 საათამდე. სახალხო განათლების სამინისტროს საქმეთა შესახებ სამშაბათობით დილის 10—11 საათამდე.

◆ გორის სამაზრო ერობის ხმოსანთა მეორე ყრილობამ წვრილი ერთეულების ხმოსნების არჩევნები დანიშნა აპრილის პირველ ნახევარში. სახმოსნო კანდიდატების სიები უნდა იქნეს წარდგენილი გამგეობაში ხუთ აპრილამდე. მაზრა დაყოფილია 20 საერობო ერთეულათ.

◆ იუსტიციის სამინისტროში. 27 მარტს იუსტიციის ახალ მინისტრს ევ. გეგეჭკორს წარუდგენ სასამართლო უწყების უმაღლესი წარმომადგენელნი, რომელთაც მინისტრმა მისასალმებელი სიტყვით მიმართა. სასამართლო უწყების მოსამსახურეთა სახელით მინისტრს მიესალმა პალატის წევრი კრასნინი. ამის შემდეგ გაიმართა თათბირი სამინისტროს მომავალ საქმიანობის შესახებ.

— იუსტიციის მინისტრის ამხანაგ ს. ჯაფარიძის განკარგულებით დღეს, 29 მარტს სადამოს 7 ს.ს. საათზე სამინისტროში მოწვეულია თათბირი სასამართლო უწყების ზოგიერთ მოხელეთაგან და ვექილთა კორპორაციის წარმომადგენელთაგან. თათბირის საგანია იუსტიციის სამინისტროს რეორგანიზაცია. განზრახულია უწყების გამარტივება. უყვეის დაწესებულებათა განზრახულ სენატისათვის დაქვემდებარებით.

◆ ინგლისელთა სამეცნიერო ექსკურსია. სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ ლონდონში საიმპერატორო ინსტიტუტთან არსებული სამეცნიერო ექსკურსია, რომელშაც შედიან ცნობილი ისტორიკოს-არქეოლოგნი, ამ მოკლე ხანში ჩამოვლენ თფილისში. შემდეგ გაემგზავრებიან ამიერკავკასიის სხვადასხვა ადგილებში და სპარსეთში.

◆ მოხალმება. თფილისის სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეების სადელეგატო ყრილობა, რომელიც შესდგა 23 მარტს, მიესალმა საქართველოს დამფუძნებელ კრებას, რომელშიაც იმედს გამოსთქვამს, რომ დამფუძნებელი კრება ერთხელაც არ ულალატებს მშრომელი ხალხის ტრადიციებს და დიად ლოზუნგებს ერთა სოლიდარობისა და შრომის განთავისუფლებისას.

◆ კოოპერატორთა ყრილობა. თფილისის პროფესიონალურ კავშირთან არსებული კოოპერატიული სექცია 12 აპრილისათვის იწვევს თფილისში ამიერ-კავკასიის კოოპერატივების თანამშრომელთა ყრილობას.

◆ წარმოდგენა. მესამე რაიონთან არსებული ახალგაზრდა მარქსისტთა გამგეობა მართავს წარმოდგენას შაბათს, 29 მარტს, საღამოს 7 საათზე, წარმოდგენის დაწყებამდე მოხსენებას გააკეთებს დამფუძნებელი კრების წევრი ამხ. რ. ჩიხლაძე.

◆ მომდევნად-მგალობელთა საამხანაგო გუნდის წევრთა საზოგადო კრება დანიშნულია კვირას, 30 მარტს, დილის 11 საათზე მესამე მომრიგებელ სასამართლოს ბინაზე (ტფრგენეფის ქუჩა)

◆ ლექცია. დღეს, დილის 10 საათზე, ვერის პირველ მუშათა კლუბის დარბაზში (ოლდას ქ. № 29) ახალგაზრდა მარქსისტთა მეორე რაიონის კოლექტივის ინიციატივით გაიმართება საჯარო ლექცია.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

დღეს, დილის 10 საათზე, მე-4 რაიონის ბინაზე (ოლდას ქუჩა № 29) დანიშნულია ახალგაზრდა მარქსისტთა თფ. კომიტეტის კრება.

— დღეს, დილის 9 საათზე, პეტრე დიდის ქუჩა № 10 დანიშნულია საავადმყოფო კასების წარმომადგენელთა კონფერენციის გაგრძელება.

— დღეს დილის 11 საათზე, მესამე რაიონის სახალხო გვარდიის შტაბის ბინაზე, შესდგება ავლაბარში და მის ახლო-მახლო უბნებში მცხოვრებ ს. ს. დ. მუშათა პარტიის წევრთა საზოგადო კრება.

ᲛᲔᲐᲒᲠᲔᲣᲨᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲣᲣᲠᲐᲓᲦᲔᲒᲝᲗ

აბრეშუმის ჭიის ნაყოფიერი მოყვანა დამოკიდებულია სამს უმთავრეს გარემოებაზე: ჭიის თესლის (გრენა) დირსებაზე—ჭიის მოვლაზე და ამინდის მდგომარეობაზე. ჭიის მოვლა სულ მოლად დამოკიდებულია თვით მეაბრეშუმეზე,—კარგი მოვლით შეიძლება სულ თუ არა, ცოტათი მაინც შეამციროს კაცმა უფერო ამინდის გავლენა ჭიის მოყვანაზე. რაც შეეხება ჭიის თესლის დირსებას, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს: ბევრიც რომ ეცადოს მეაბრეშუმე, თუ ჭიის თესლი უვარგისია, ყაჩს მოსავალი მაინც ნაკლები იქნება, თუმცა ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ თუ ჭიას არ მოევლო, რაც უნდა კარგი დირსების თესლი იყოს, ყაჩს მოსავალი ნაკლები იქნება.

ჭიის თესლი შეიძლება უვარგისი იყოს უხეირო მომზადების გამო, მაგრამ მოხდება, რომ კარგად მომზადებული ჭიის თესლიც ფუჭდება ცუდი შენახვისა გვიან, გაზაფხულზე გადატან-გადმოტანისა და მეაბრეშუმეების მიერ გვიან შეძენისა გამო.

მეაბრეშუმეებზე უვარგისი თესლის გასაღების მოსასპობათ მთავრობამ მიიღო საჭირო ღონისძიებანი და თითქმის მთლად ადგილობრივ მომზადებული ჭიის თესლი წარმოდგენილია გასაშინჯათ თფილისის საბრეშუმო სადგურზე. საბრეშუმო სადგური კი იმ ჭიის თესლს, რომელსაც ადმოჩნდება მემკვიდრეობითი სენი ფებრინა, არ უბრუნებს პატრონს და სპობს მას. უბრუნებს მხოლოდ სად თესლს, რომელსაც ფებრინა სრულებით არა აქვს (თეთრი ბანდეროლი) ან ისე მცირედ არის დასნეულებული ფებრინითი, რომ ყაჩს მოსავალს და მის ღირსებას არ ავნებს (ლურჯი ბანდეროლი).

ამიტომ მეაბრეშუმეთ ურჩევთ შეიძინონ მხოლოდ ჭიის ისეთი თესლი, რომელსაც თფილისის საბრეშუმო სადგურის ბანდეროლი აქვს. გარდა ამისა, ნუ დაგვიანებთ ჭიის თესლის ყიდვას, არამედ—დროზე შეიძინეთ არა უგვიანეს აპრილის დასაწყისისა, უმჯობესი კი მარტში. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ორი მოსაზრებით: პირველი იმიტომ, რომ გვიან შეძენილი და გვიანვე გადატანილი ჭიის თესლი ჩვეულებრივ ცოტათი შელახულია ხოლმე, ზოგჯერ სრულიადაც ფუჭდება, მეორეც იმიტომ, რომ სამზღვარ გარეთიდან წრეულს ჭიის თესლის შემოტანის იმედი არ უნდა გვქონდეს, ადგილობრივ დამზადებული, ჭიის თესლი ჩვენ ძლივას გვეყოფა. მთავრობამ მიიღო დონისძიება, რათა საქართველოს რესპუბლიკის სამზღვრებიდან ჭიის თესლი არ გაზიდონ, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ჭიის თესლის გადატან-გადმო-

ტანა მაღლათ ძალიან ადვილია; ხოლო რადგან საქართველოს მოსამზღვრე რესპუბლიკებში ჭიის თესლის დიდი მოთხოვნილებაა, უეჭველია, რომ ჩვენში დამზადებულ ჭიის თესლის ნაწილი გადა ჩვენგან მაღლულად ტ ჩვენი მეგობრეშენი დარჩებიან უთესლოდ, თუ დროზე არ იზრუნეს მის შეძენაზე. ეი ამიტომ დაბეჯითებით ვურჩევთ ჩვენ მეგობრეშემეთ ნუ დაიგვიანებენ და დროზე შეიძინონ ჭიის თესლი და იმედი გვაქვს, რომ ამ რჩევით მეგობრეშენი ისარგებლებენ მით-უმეტეს თუ გითვალისწინებენ იმ ზარალს, რომელიც მათ მოსვლოთ ჭიის თესლის გვიან შეძენისა გამო იმ დროსაც კი, როცა ჭიის თესლი ბლომად მოიპოვებოდა ჩვენში. X.

გვარდიელის დღიურიდან

(ახალციხის ფრონტი)

20 თებერვალი.

დილას, მთავარი შტაბის რწმუნებულის განკარგულებით, გავედით ბორჯომიდან პოზიციისაკენ 115 კაცი ყვირილა შორაპნის რაიონისა. ჩვენი დანიშნულება იყო სოფ. ქვაბისხევში შევსულიყავით და განკარგულებამდე მოგვეცადა. სოფელი ქვაბისხევი ბორჯომიდან 18 ვერსით არის დაშორებული. ეს მეორედ უხდება ჩვენ გვარდიელებს ახალციხისაკენ წასვლა. აგერ ჩვენი ნაცნობი დვირი; შარშან დვირში ჯავახელები და სომხები ხაშურის გვარდიელებთან ერთად დვირს იქით თხრილებში იყვნენ გამწკრივებული. ისინი სთხოვდნენ ქართულ ჯარს დახმარება აღმოეჩინა მათთვის და მათი ცოლშვილი გადაერჩინა. მაშინ ჩვენ ნეიტრალურ გზას ვადექით და არ გვინდოდა ახალციხის მფსულმანობა ჩვენ წინააღმდეგ ფაქტიურად აგვეხეტერებინა, მით უფრო, რომ ბათუმი შველას ითხოვდა და ჩვენ შემარიგებელი როლი უნდა გვეთამაშა და ასეც მოხდა. ჩვენ შევასრულეთ ჩვენი მისია და ბათუმისაკენ გავეშურეთ. ბათუმის დაცვამ გაათამამა ახალციხელი ბეგები და იარაღით ოსმალეთის დახმარებით თავის მიზანს მიაღწევს. მას შემდეგ, რაც ოსმალეთმა დასცალა ახალციხის და ახალქალაქის მაზრა, ფაქტიურად საქართველოს უნდა დაეკავებინა, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი, მაგრამ ბეგების და ოსმალეთის აგენტების წყალობით ხელახლა აამხედრეს. ეს გარემოება, განსაკუთრებით ჩვენი ჯარის დამარცხებაც, არ გვასვენებდა და სახალხო გვარდიელები კბილებს იღესავდნენ ბეგების და კონტრრევოლიუციონერების წინააღმდეგ. „მათ წინააღმდეგ საშინელი ზომები უნდა იქნას მიღებული“.ო—ყველა გაიძახოდა. სალამოს უკვე ქვაბისხევში შევედით. სოფ. ქვაბისხევი ქართველებით არის დასახლებული. არ არის სუფთა სოფელი. წინასწარი განკარგულებით სახლები ჯარისათვის დაეცალათ და ჩვენც დავბანაკდით.

21 თებერვალი.

სალამოს კაპიტან ცომაიას განკარგულებით, რომელიც იმ ხანებში დანიშნული იყო ფრონტის ხელმძღვანელათ, „სლესის ციხეზე“ გაგვიწვიეს. ჩვენი პოზიცია სწორეთ სლესის ციხიდან იწყობოდა. ფრონტის მდგომარეობა ასეთი იყო: მდ. მტკვრის მარჯვენა ფრთა სახალხო გვარდიელებს უნდა დაეცვათ, მარცხენა ფლანგი კი რეგულიარულ ჯარს. მარცხენა ფლანგს ეკავა სოფ. საკირე და მათ ხელმძღვანელათ დანიშნული იყო გენერალი სუმბათაშვილი, რომელსაც ჰყავდა მხოლოდ 6 პოლკი. სახალხო გვარდიელების ხელმძღვანელათ კი გენერალი ამბეტელაშვილი. ეს ორი ძალა, სახალხო გვარდია და ჯარი ცალ-ცალკე ფრონტებს განაგებდენ. ერთი დიდის შეილები ერთის გრძნობით დემოკრატიულ საქართველოს იცავდენ. ჩვენ პოზიციაზე ხაშურის გვარდიელები გამოვცვალეთ. სლესის ციხეს ჩვენ ბეგები იცავდენ, შუა წელს და მარჯვენა ფლანგის წვერს გურულები და კახელები იცავდენ. კახელები იშვიათი მეომარი ხალხია და ბრძოლაშიც გამოცდილებია. ჩვენ—21, 22, 23 ციხეს ვიცავდით და საშუალებას ვაძლევდათ მთავარ შტაბს სახალხო გვარდიელების ბათალიონები შეეკნა.

24 თებერვალი.

ჩვენ კიდევ ციხეზე ვართ. ხან და ხან საშინელი ხმა ისმის ხოლმე სროლისა. ეს კახელებია. საოცარ გამბედაობას იჩენენ ომის დროს, მათ წინ, სადაც ისინი დგანან, მტრის სიმაღლე დაჰყურებს თავზე, ხშირად კახელები, განსაკუთრებით სადილის შემდეგ, გაეშურებიან სიმაღლისაკენ და იერიშით აიღებენ. შემდეგ ისევ უკან დაბრუნდებიან და მეორე დღეს კიდევ ასე. შეკითხვიზე, თუ რატომ იქცევიან ასე, გიპასუხებენ იმ კლდეზე სურსათის ამოტანა სჭირდა, ჩვენც ამიტომ უბრუნდებით წინ ნდილ პოზიციებსო. კახელები მეომარი ხალხია. ამავე დროს საოცარი მოთხოვნილება, აქვთ ჭამის,—ჭამე და აომე—გიმარჯვეს; ის კერძი, რომელიც გვარდიელს ეძლევა, მათ არ აკმაყოფილებს.

სალამოს ჩვენ გამოსაცვლელად ციხეზე მოვიდნენ გარეკახელები, როცა ჩვენი, ყვირილა-შორაპნის გვარდია მოიხსნა, შემთხვევით მე და პოდპოლკ. ლაბაძე დავრჩით ციხეზე; ჩვენდა მოულოდნელად თათრები მარცხენა ფლანგში შემოვრილიყვნენ და დაგვიშინეს. როცა ჩვენ საფარს ვეძებდით, გარეკახელები ვეკაკაცურად იდგენ და კბილებს ილესავდენ. სროლის შეწყვეტის შემდეგ გავეშურეთ დასასვენებლათ.

25 თებერვალი.

ჩვენ მოვისვენეთ საგანგებოთ მოწყობილ „იურტებში“. ცუდ ამინდის გამო საშვალება არ გვეძლეოდა ვარჯიშობის. სახალხო გვარდიელების რიცხვი თანდათან იზრდებოდა. ჩვენ გვარდიელებსაც მოეშატა ყვირილა შორაპნიდან მეორე ჯარტია 100 კაცამდე. სულ სახალხო გვარდიელების რიცხვი ავიდა 3000 კაცამდე. ამ გვარდიელებიდან გენ. ამბეტელაშვილმა შეადგინა ხუთი ბათალიონი. პირველ ბათალიონში სიღნაღელები და გურულები, 2 ბათალიონში—გარეკახელები, 3 ბათალიონში—გორელები, მე 4 ბათალიონში—შორაპნელები და 5 ბათალიონში კი თიანეთელები. ამგვარად, ახალციხის ფრონტზე მოიყარა თავი სახალხო გვარდიის 5 ბათალიონმა, რაც თავდები იყო იმის, რომ გამარჯვება აუცილებლად ჩვენ ხელთ იქნებოდა, უწინ თუ გვარდიელებში მხოლოდ ქალაქის მოწინავე მუშები იყვენ, ღღეს უმრავლესობა სოფლებიდან იყო და მათ შორის დიდი უმრავლესობა ყოფილი ჯარისკაცები, რომელთაც აქვთ მიღებული მონაწილეობა ნრავალ ბრძოლებში. საინტერესო არის ის გარემოება, რომ სახალხო გვარდიელებს გვერდში ამოუდგა სამეგრელოს მოწინავე გლეხკაცობა, რომლებიც პირველად გამოდიოდენ სხვა გვარდიელებთან ერთად, გვარდიელების შემხედვარე ახალგაზრდა ჯარიც სიამოვნებს და ვეკაკაცურად წელში იმართება. მიუხედავად იმისა, რომ საუკეთესო ნაწილი ჩვენი გვარდიელებისა სოფის ფრონტისაკენ არის წასული, საკმაოდ ძალა მოიკრიბა მაინც და მთავარ სარდალიც შეუდგა შეტევისათვის მზადებას.

2 მარტი.

ბრძანება გადმოგვცეს მთელ გვარდიელებს თავი მოეყარათ და სამხედრო მინისტრს შეხვედროდენ. სახალხო გვარდიელები ჩამწკრივებული და აგრეთვე მობილიზაციით გაწვეული ჯარისკაცები დახვდენ სამხედრო მინისტრს გიორგაძეს და მთავარსარდალს კვინიტაძეს. სამხედრო მინისტრი მიესალმა რა ყველას, მოკლე სიტყვით განუმარტა ახალციხეში მისვლის მიზანი. სიტყვის გათავების შემდეგ გვარდიელებმა ისინი ვაშას ძახილით გაისტუმრეს. სამხედრო მინისტრმა დათვალიერა აგრეთვე გვარდიელების დროებით სადგომები, ტანსაცმელი და ზოგიერთი საჭირო საგნები შეპირდა გვარდიელებს.

3 მარტი.

მთავარი შტაბის რწმუნებულის და გენ. ამბეტელაშვილის ინიციატივით შეესდგა სხდომა ყველა მომქმედ გვარდიის შტაბის წევრთა, სადაც ვლ. ჯიბლაძემ გააკეთა მოხსენება მომავალ მოქმედების შესახებ. ახალციხის მაზრა ჩვენ უნდა დაგვემარცხებია ფიზიკურად და მორალური გავლენაც უნდა მოგვიხდინა, აგრეთვე ხელი უნდა შეგვიწყო, როცა ჩვენი გვარდიელები სოფლებში შევიდოდენ ეკსცესებს ალაგი არა ჰქონოდა და მშვიდობიანი მცხოვრებნი იმარად აყრილი უბრუნველ უნდა ყოფილიყო. ასეთი ტაქტიკით ჩვენ ახალციხის მაზრა საქართველოს რესპუბლიკის ერთ ერთგულ კუთხეთ გავიხადა. აგრეთვე კრებამ გამოარკვია, თუ რა ტრანსპორტის და ქონების პატრონნი მომქმედი გვარდიელები. რაგორც გამოირკვა, გვარდიელების განკარგულებაში იყო საკმაო იარაღი. სურსათის საკმეც დიდებულათ იყო მოწყობილი. ჩვენი ჯარის და გვარდიის ჩაცმულობასაც არა უშავდა. ამავე კრებაზე გენერალ ამბეტელაშვილმა გაგვაცნო სამხედრო მოქმედების გეგმა. სახალხო გვარდიელებს და ჯარს ერთ და იმავე დროს უნდა შეეტია მტრისათვის. ჩვენმა მზვერავებმა ვერაფერი ნაყოფი ვერ მოგვიტანა. მტრის ძალთა განწყობილების გაგება ძნელი გახდა, მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ დავძლევთო—დაათავა მან. შეტევაზე ჩვენი ჯარი და გვარდია უნდა გადასულიყო 5 მარტს.

4 მარტი.

ჩვენი მე 4 ბათალიონი „სლესის ციხეზე“ სდგას, იცავს მარჯვენა ფლანგს მამაცურად. ყველას უნარია შეტევაზე გადასვლა. სამი კვირაა ეუცდით და ლოდინში აგერაც არის დავლპეთო—გაიძახოდენ საყვედურის კილოთი გვარდიელები. მთელ ღამეს სამარისებური სიჩუმე მეფობდა. ჩვენ ნაძვნარ მთაში ვიმყოფებით. სიცივე მოსვენებას არ გვაძლევს. ხვალ შეტევაა და ალდგომასავით ველით. ველით 5 მარტს.

გალო კაპანაძე.

გაფიცვის გარშემო

ტრანსკავკასიის მუშა-მოსახლეობა. ფოთის.

28 მარტს მოხდა შეერთებული კრება პროფ. კავშირისა და კანტორის მოსამსახურეებისა. ი. ჩხარტიშვილის თავმჯდომარეობით. გასარჩევი იყო საკითხი: ქალაქის თვითმართველობაში ოთხი ბუჰგალტრის, ერთი საქმის მწარმოებლის და რამოდენიმე სხვა დარგის მოსამსახურეთა გაგზავნა, დროებით დასახმარებლად. მოისმინა რა მოხსენება ამხ. თავმჯდომარისა, კრებამ ერთხმად დადგინა: ყოველი ძალღონით დაეხმაროს დემოკრატიულ ქალაქს თვითმართველობას. დაევალა კანტორის სექციას დირექციასთან ერთად, სასწრაფოდ გაგზავნა თვითმართველობაში საჭირო მოსამსახურეთა.

მე-6 რაიონის კოლექტივში.

27 მარტს, მე-6 რაიონულმა კოლექტივმა განიხილა ქალ. თვითმართველობის მოსამსახურეების გაფიცვის შესახებ, მე 6 რაიონის კოლექტივი საქ. ს. დ. მ. პ. სცნობს ამ გაფიცვას დამდუპველად, ლახვრის ჩაცემათ მთელ დემოკრატიისა და დემოკრატიულ რესპუბლიკისა. კოლექტივი სრულ ნდობას უცხადებს დემოკრატიულ ქალაქის საბჭოს და მის გამგეობას, ამასთანავე მოითხოვს, რომ გაფიცულთა წინაადმდეგ იყოს მიღებული სასტიკი ზომები“.

ნაპერწკალი.

მე 2 რაიონულ კოლექტივში.

გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „საქართ. ს. დ. მ. პ. თფილისის ორგ. მეორე რაიონულმა კოლექტივმა იქონია რა მსჯელობა ქალაქის მოსამსახურეთა ნაწილის გაფიცვის შესახებ, რომ ეს გაფიცვა არ არის ეკონომიური, არამედ—წმინდა პოლიტიკური, რასაც აწყარად ალიარებენ გაფიცვის ხელმძღვანელებიც და რომ მათი გამოსვლა მიმართულია ჩვენი დემოკრატიული საბჭოსა და რესპუბლიკის და მთელი დემოკრატიის წინაადმდეგ, დადგინა: ეთხოვოს—ქალაქის გამგეობას და მთავრობას, რომ პირველმა დაუყოვნებლივ მოიყვანოს სისრულეში ქალაქის საბჭოს 25 მარტის დადგენილება და არავითარ დათმობის გზას არ დაადგეს. რაიონი აღფუთქვამს ქალაქის საბჭოს ყოველგვარ დახმარებას.

დროებითი ბიუროს პრეზიდიუმისაგან.

თანახმად 25 მარტის მოსამსახურეთა საერთო საზოგადო კრების დადგენილებისა, რომელებიც არ ეხმრობიან გაფიცვებს, დაევალა ფრაქციის ბიუროს და არჩეულ კომისიას მოახდინონ რეორგანიზაცია ქალაქის მუშა მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირისა.

ფრაქციის ბიუროს შეერთებულმა სხდომამ და არჩეულმა კომისიამ იქონია რა მსჯელობა იმ საკითხზე, რომ ქალაქის ყველა მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც 27 მარტს არ დაუბრუნდებიან თავის სამუშაოს, ითვლებიან დათხოვნილათ, საბჭოს გადაწყვეტილებისამებრ, სცნო საჭირად შეადგინოს დროებითი ბიურო პროფესიონ. კავშირისა, ქალაქის თვითმართველობის მუშა-მოსამსახურეების. ბიურო შესდგება 19 პირისაგან, დამტკიცებულია პროფ. კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატისაგან და ცნობილია ქალაქის გამგეობის მიერ; ბიურო შეუდგა მუშაობას 28 მარტიდან და მოითავსებულია ქალ. თვითმმართველობის შენობაში, სადაც უნდა მიმართონ ამხანაგებმა ყოველგვარი ცნობისათვის.

დროებით ბიუროს პრეზიდიუმი საგაჭრო-სამრეწველოში მოსამსახურეთა შორის.

საგაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში მომუშავეთა პროფ. კავშირის გამგეობის რეზოლიუცია:

1) ქალაქის კრიტიკულ მდგომარეობის გამო გაფიცვა არ მოგვეტანს საჭირველ შედეგს 2) გაფიცვა კიდევ უფრო გაუარესებს მოსამსახურეთა მდგომარეობას და გაახანგრძლივებს ჯამაგირის დარიგებას 3) პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს ნება-დაერთველ გაფიცვას გათიშავ შეეძლეს პროლეტარიატში და ასუსტებს მუშათა მოძრაობას, 4) გაფიცვა ქალაქის დარიბ ნაწილს ზარალს მოუტანს—გამგეობა წინადადებას აძლევს გაფიცულთ მოხსნან გაფიცვა და შეუდგნენ მუშაობას, სეკრეტარიატმა კი გამონახოს საშუალებანი მოსამსახურეთა დასაკმაყოფილებლად.

სასოფლო კომისიაში

(მუშათა საბჭოსთან არსებულ სასოფლო კომისიის მიერ მოწვეულ პროვინციიაში მომუშავეთა თათბირი).

25 მარტს სოც. დემ. ფრაქციის დარბაზში გაიხსნა თათბირი სოფლად მომუშავე ამხანაგებისა სასოფლო კომისიის ინიციატივით, რომელსაც დაესწრნენ თფილისელი ამხანაგები და დამფ. კრების ს. დ. ფრაქციის პროვინციელი დეპუტატებიც. კრება გახსნა ამხ. ნ. ჩიხლაძემ სასოფლო კომისიის სახელით, რომელმაც მოკლეთ აღნიშნა სოფლის დღევანდელი მდგომარეობა და თათბირის მოწვევის მიზანი.

კრებამ შემდეგი წესრიგი დაამტკიცა 1) მოხსენებები მაზრებიდან და 2) ჩვენი მუშაობა სოფლად.

მოხსენებები: გ. ციხკარიშვილი (თიანეთი) აღნიშნავს, რომ თიანეთის მაზრა საქართველოს რესპუბლიკაში ყველა მხარეებზე ჩამორჩენილია. დადებითი ორგანიზაციული მუშაობა მაზრაში არ ყოფილა. ხალხი პოლიტიკურ ცხოვრებაში გარკვეული არ არის. განსაკუთრებით ბეღსურეთში რეაქციის არავითარი ცვლილება არ გამოუწვევია, იქ ისევ პირველყოფილი მდგომარეობაა. მაზრის დაბლობ ნაწილებში უკეთესია პირობები მუშაობისთვის თუ შესაფერი ძალები იქნა გაგზავნილი, საქმე წინ წაიწევს.

ნ. ქუმსიაშვილი (თიანეთი). უმატებს, რომ 1917 წელში მაზრაში სისტემატიური მუშაობა სწარმოებდა, მაგრამ გასულ წელს ბალშევიკურმა ანარქიამ გააქრო ყოველგვარი ორგანიზაციები და უკანასკნელ დროამდე მუშაობა შეფერებული იყო. ღღეს კი საქმე უკეთესად მიდის. თფილისიდან მოსული ამხანაგები ენერგიულათ მუშაობენ. ორგანიზაციები არსებობს ახმეტისა და თიანეთის რაიონში, ნაქალაქარის სახოგადოებაში. მაზრაში ერობა ჯერ არ შემოუდიათ. ერობის შემოღება დაჩქარებით საჭიროა, ამისათვის მუშაობა დაწყებულია. მაზრაში სახალხო გვარდიის შტაბი დაარსდა. შეგნებული სოფლელნი გვარდიაში იღებენ მონაწილეობას და მისი საუკეთესო ნაწილი ახალციხეში იბრძვის. მაზრაში ადმინისტრაცია მოუწყობელია, სასამართლო ფაქტიურათ ადარ არის. დამნაშავენი დაუსჯელნი არიან. ტყის საკითხი უკმაყოფილებას იწვევს ხალხში, რადგანაც გადასახადები და ტყის საქმე მოუწესრიგებელია. ზაფხულში თიანეთის მაზრა ყოველთვის განსაცდელში იყო მთებში მოსახლე მცხოვრებ ტომებისაგან მათი უანალური მოქმედებით. ცხვრების ფარობით გატაცება და სხვა. აღსანიშნავია, რომ შემქმნილ პირობების გამო საქონლის მოშენება მთიელთა შორის საფრთხეშია და თანდათანობით კლებულობს.

ი. ურუშაძე (დუშეთიდან) აღნიშნავს, რომ მთებში იგივე მდგომარეობაა, როგორიც თიანეთში, ამას ზედ ერთვის შიმშილობა, შიმშილ-ომის მიერ გამოწვეული გაჭირვება, ავთმყოფობა და ურიცხვი ლტოლვილთა დაბრუნება დუშეთის ზემო ნაწილში, სადაც არავითარი პურის მოსავალი არ არის, რის გამო მოსალოდნელია ანარქია. მაზრაში მუშაობა ორგანიზაციული სისტემატიურათ სწარმოებს ბალშევიკურ აჯანყების შემდეგ. დუშეთში, მუხრანში ახალ გორში, საგურამოში, მცხეთაში, ორგანიზაციები უკვე არსებობს. მაზრაში ადმინისტრაციის სისუსტის გამო ყაჩაღობამ მასიური ხასიათი მიიღო. გვარდია რამოდენიმე ხანია მოწყობილია, ყველა ფრონტებზე იღებდნენ მონაწილეობას. ბალშევიკური წოლკანი ღღეს სრულიად გამოცვლილია და აქტიურ მონაწილეობას იღებს მისი გვარდია ახალციხის ბრძოლაში. სხვებთან ერთად ამ მუშაობის ხელმძღვანელი იყო სასოფლო კომისია.

კ. ანდრონიკაშვილი (თელავიდან). მაზრაში მუშაობა ამ რამოდენიმე თვის წინათ სუსტათ მიმდინარეობდა. ეხლა კი სასოფლო კომისიის ხელმძღვანელობით მუშაობა გაძლიერებული იქნა. მიეცა ლ. დებითი ხასიათი. მაზრაში ოთხი რაიონია, ორგანიზაციულათ შეკავშირებული და სამაზრო ცენტრში გაერთიანებული.

ლ. რუხაძე და ი. ყაჟეიშვილი (ახალციხიდან) აღნიშნავენ ახალციხის ახალგაზრდა მდგომარეობას და დაწვრილებით მოუთხრობენ თათბირს ახალციხის აჯანყების ძირად მიზეზებს, რომლის შესახებ გაზეთებში იყო მოთავსებული ცნობები. მხოლოდ მომხსენებელნი ხაზს უსვამენ შექმნილ მდგომარეობის მიერ გამოწვეულ შიმშილობას, რომ მაზრაში არამც თუ საშელი, არამედ—სათესლე პურიც ალარ არის. აგრეთვე მოითხოვენ სასოფლო კომისიამ გააძლიეროს თავისი მუშაობა მაზრაში, რადგანაც ჯერ არც ერთი რეფორმა არ გატარებულა იქ.

ერ. კალაძე. და გ. წერეთელი—(შორაპნის მაზრიდან). მაზრაში ყველგან ორგანიზაციებია მოწყობილი, მუშაობა შედარებით სხვა მაზრებთან უკეთეს პირობებშია. ადმინისტრაციის სისუსტე ჩვეულებრივია. ტყეების დაცვა ვერ არის მოწყობილი საჩხერეს რაიონში. პერეკეთის ოსებში კი არავითარი მუშაობა არ არის.

გ. ფალავა. (ქუთაისიდან) მაზრა დაყოფილია რამოდენიმე რაიონებათ. სოფლადელებებში მუშაობა სწარმოებს. განსაკუთრებით ჩამორჩენილია ტყიბულის რაიონი, სადაც გამეფებულია ყაჩაღობა და ამის გამო ზოგიერთ სოფლებში ჩვენი მომუშავენი ვერ შედიან. სასამართლო მოუწესრიგებელია ტყიბულის რაიონში.

ი. კობალიაშვილი. (სამტრედია) მთელს რაიონში მუშაობა რეგულიარულათ სწარმოებდა. საზოგადოებაში ორგანიზაციები, გვარდია, ადმინისტრაცია მოწყობილია.

რ. ყიფიანი. (ლეჩხუმი) ორგანიზაცია ცენტრში არსებობს. სოფლების იმ ნაწილში, რომელიც ზაფხულის ბრძოლის დროს დაზარალდა, დღეს ცხოვრება სდგება ნორმალურ კალაპოტში და თუ სასოფლო კომისიამ გაგრძელა მუშაობა, სრული იმედია მაზრის გაჯანსაღებისა. მაზრა სურსათის მხრით უზრუნველ ყოფილი არ არის. დამოკიდებულება რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთს შორის გამწყვეტილია. გასულ წელს სვანელ ყაჩაღებმა ბევრი ოთხფეხი საქონელი გაიტაცეს. მომავალიც ამ მხრით უზრუნველ ყოფილი არ არის. მიმოსვლა, ფოსტა და გზები მოუწყობელია.

თ. ბედნაძე დაახლოვებით ამგვარ მოხსენებას აკეთებს და დასკვნის, რომ სალი გვერდიდან მოდის ცნობები მოხალისეთა ნაწილების გამოჩენისა.

ბ. ძველია (სენაკი) სენაკის მაზრაში ადმინისტრაცია სუსტია, სასამართლო ფაქტიურათ არ არსებობს. მუშაობა ორგანიზაციული სწარმოებს. განაპირა ჩამორჩენილ მხარეებში ორგანიზაციები არ არის. ზოგ ალაგას ესერგების გავლენა აიხსნება შემდეგი გარემოებით; მთის მცხოვრებთა ტყისა და მთის საერთო სარგებლობით; მთისა და ტყის გადასახადების უარყოფით. სურსათის მხრივ მაზრა უზრუნველყოფილია.

ა. ჩიკავა და აკ. ხიგუა. (ზუგდიდი) ზოგიერთ საზოგადოებებში მიეწყო, ორგანიზაციებში თვითმართველობებში მუშაობა ვერ არის შესაფერად დაყენებული. ჩვენ მოსახლეთა ხმებით გაყვანილი ფედერალისტები ესერებთან ერთად ბრძოლას აწარმოებენ ჩვენს წინააღმდეგ. ხალხის თანაგრძნობა, როგორც წინეთ, სოც.-დემოკრატიის მხარეზე, აგრარული კანონ-პროექტი ხალხში დიდ თანაგრძნობას იწვევს და მოითხოვენ მის დაჩქარებით გატარებას. ძარცვა-გლეჯა, როგორც ყველგან, ისე ამ მაზრაში გაძლიერებულია, და ყაჩაღები თავისუფლად დანავარდობენ.

დ. ნაკაშიძე და ხ. ხურგუჯაძე (ჯვარი) ორგანიზაციული მუშაობა სისტემატიურად სწარმოებს ადგილობრივი ძალებით. სასოფლო კომისიას იქ არ ჰყოლია და არც ჰყავს პროპაგანდისტები. მაზრა დაყოფილია 27 რაიონათ. ადმინისტრაცია სუსტია. სასამართლოს მოქმედება დამაფიქრებელია. ავაზაკობა თანდათან ვითარდება და ამას ხელს უწყობს სასამართლოს მოუწყობლობა. ბევრი დამნაშავენი დაუსჯელათ თარეშობენ. ბოლო ხანებში იდეიური მუშაობა შესაფერ ნიადაგზე ვერ სდგას. მაზრის დიდი ნაწილი ომის მიერ დარბეული განადგურებულია, ხალხში სურსათი არც ღღეს არის. სიმშილი და გადამდები სენი მუსრს ავლებს მცხოვრებთ.

დ. ხართიშვილი. (თფილისის მაზრა) მაზრა ოთხ რაიონათ არის დაყოფილი. ორგანიზაციული მუშაობა შედარებით ზოგიერთ ადგილებში სუსტათ მიმდინარეობს. ბელიკლიუჩის, მანგლისის, საგარეჯოს და სხვა კუთხეებში სასოფლო კომისიის პროპაგანდისტები განაგრძობენ მოქმედებას. ბელიკლიუჩის რაიონში ადმინისტრაციის მოქმედება არასასურველია. მაზრაში გავრცელებულია გადამდები სენი და მსხვერპლთა რიცხვი დიდია. ისე როგორც სხვა მაზრებში, საექიმო დახმარება სრულიად მოუწყობელია.

ბორჩალოდან. სომხეთის ომის შემდეგ ჩვენს საზღვრებში მოქცეულ ნაწილში მყოფობა მყარდება. ადმინისტრატიული აპარატი მაზრაში შესაფერათ ვერ მოქმედობს. ერობის შემოსაღებათ ზომები მიღებულია.

ქართლიდან მდგომარეობა ისეთივეა, როგორც სხვა მაზრებში. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ოსეთის სოფლებში. ოსეთში სასოფლო კომისია აწარმოებს თავის მოქმედებას და ამავე დროს ოსი ნაციონალისტებიც. ოსეთში სურსათის კითხვა გამწვავებულია და ამ მოვლენით სარგებლობენ რესპუბლიკის მტრები. ჩრდილოეთ ოსეთის აგენტებიც მოქმედებენ, ჯავის ოსთა ნაციონალური საბჭო თავის საკუთარ პოლიტიკით ეწინააღმდეგება რესპუბლიკის საერთო პოლიტიკას. ანარქიული მოძრაობანი გამქრალია, მხოლოდ ადმინისტრაციის და სასამართლოს სისუსტე ჩვეულებრივი მოვლენაა.

(დასასრული იქნება)

ბორის სამაზრო ერგა

(დასასრული)

ყრილობამ, მოისმინა რა მოხსენება მაზრის სამკურნეო პუნქტებად დაყოფა და აგრარული რეფორმის გატარების, დადასწყვიტა მოაწყოს ოცი კომისია წვრილი ერობების რაიონებში. ყოველ რაიონში ერობის ხმოსანი მოიწვევს სოფლიდან ორ-ორ წარმომადგენელს და ამოარჩევენ კომისიას 3—5 კაცისაგან. კომისიის არჩევნები უნდა მოხდეს არა უგვიანეს 25—30 აპრილისა. გამგეობამ წინდაწინვე უნდა მონახოს შესაფერი მცოდნე და გაგზავნოს ისინი თფილისში მოსამზადებლათ. მაზრა უნდა გაიყოს ორ სამეურნეო რაიონად: პირველ რაიონში შევლენ ბორჯომის, ხაშურის, გომის და ქარელის რაიონები; მეორე რაიონში—ცხინვალის, მეჯვრისხევის, ქვემოძალის, გორის, ახალქალაქის და მთიულეთის რაიონები. პირველ რაიონის ცენტრი იქნება ხაშური, მეორისა—გორი.

ადმინისტრაციის შესახებ ყრილობაზე ბევრი იმსჯელეს, ხმოსნებმა აუარებელი მაგალითებით დაამტკიცეს აწინდელ ადმინისტრაციისა და მილიციის უგარგისობა და ერთხმად გამოსთქვეს სურვილი ძირიანად შეიცვალოს, როგორც თვით ტიპი სადმინისტრაციო და მილიციის ორგანიზაციისა, ისე შემადგენლობა. წარილ ერობის შემოღებასთან ერთად უნდა გაუქმდეს კომისარიატები, მათი ფუნქციები გადაეცეს ერობებს და მილიციაც დაექვემდებაროს ერობას. ჯერჯერობით კი შემოკლებულ იქნას შტატი მილიციონერებისა და გაუმჯობესდეს დანარჩენების მდგომარეობა.

დღიურ წესრიგში იყო დასმული ფრიად საყურადღებო კითხვა—წყლის არხების გაყვანა. ხმოსნებმა აქაც ნამდვილი სურათი გადაშალეს იმ ადგილების უმწეო მდგომარეობის შესახებ, სადაც წყალი არ არის და მდიდარი ველები უსარგებლოდ რჩება. სოფლელები არას დაიშურებენ, თუ მათ დაეხმარა ვინმე არხების გაყვანაში. წყლის მართველობა ძალიან მძიმედ იქცევა, საჭიროა ადგილობრივ მოქმედება-დაარსება ამხანაგობებისა სოფლად წყლის გასაყვანად. მარტო ტირიფონის მინდორი შეინახავდა მთელ გორის მაზრას, რომ წყალი იყოს. ასევე უნდა შეიკრიფოს 10 ძანეთი დესეტინაზე ადგილების გამოსაკვლევად.

ყრილობამ დაავალა გამგეობას მოკიდოს ამ საქმეს ხელი და მთავრობასაც მიმართოს დახმარებისათვის, სპეციალისტების ტეხნიკური ძალების მოშველებით, გამგეობასთან უნდა დაარსდეს შესაფერისი განყოფილება.

მიმდინარე კითხვებში ყველაზე მწვავე გამოდგა ტყის კითხვა. ვერ იქნა, ვერ მოგვარდა ტყის საქმე. ერობამ ერთგვარი კონტაქტი დაიჭირა ტყის რევიზორთან, მასთან ერთად იმუშავებს ტყის დასაცავ ზომებს, სარგებლობის ნორმებს, ტაქსას, მაგრამ პროვინციებში მაინც ბევრს გაუგებრობას და ბოროტმოქმედებას აქვს ადგილი. ძველი მოხელეები ტყის მცველები, დაჩვეულნი ძველ წესებს, მექრთამეობას, მცხოვრებლებისადმი უდიერად მოპყრობას, სამართლიანად დაიმსახურეს ხალხისაგან უნდობლობა. სამინისტროში ადგილია შეთანხმება, სამაზრო ცენტრთანაც არის ერთგვარი კავშირი ტყის მართველობასთან, მაგრამ იქ, ტყეში, ძველი „ჩინოვნიკები“ არავის არ სცნობენ, განაგრძობენ თავისებურ მოქმედებას. ყრილობა დარწმუნებულია, რომ ყველა ამნაირ ბოროტებას მაშინ მოიღებს ბოლო, როცა სოფლად წვრილი ერობა მოიწყობა და ყველა ზოხელის მოქმედებას კანტროლს გაუწევს. ჯერჯერობით კი საჭიროა ფარულად გაეცნოს სოფლის მცხოვრებლებს შეშუშავებული მთავრობისაგან ერობასთან შეთანხმებით ნიხრი შეშაზე, საამშენებლო და საგენაო მასალაზე.

შემდეგ იყო ლაპარაკი რკინის გზის გაყვანის შესახებ, წყლის სადენ მანქანაზე და ტრანსპორტის მოწყობაზე. სატეხნიკო კომისიას რკინის გზის შესახებ მქონია თათბირი ვაჭარ-მრეწველთა კავშირთან და ადგილობრივ თვითმართველობასთან, შეუგროვებია ცოტა-ოდენი ცნობები და საჭიროთ სთვლის შეუდგეს იმის გამოკვლევას, თუ რა მიმართულებით უჯობესია წავიდეს რკინის გზა ცხინვალამდისინ და ეს გზა ვიწრო ლიანდაგიანი უნდა იყოს, თუ ფართო. მაგრამ რადგანაც გამგეობას თავისი ძალებით არ შეუძლია გზის გამოკვლევა, ყრილობამ დაადგინა ეთხოვოს მთავრობას გამოიკვლიოს ეს გზა და ერობა დაინტერესებს მთელ მაზრას, მოიწვევს ყველას და გზას გააყვანინებს, რადგანაც მის დიდ მნიშვნელობას, როგორც სახელმწიფოებრივს, ისე ეკონომიურს და კულტურულს, ყველა სცნობს. სასურველია გზა გაყვეს გორიჯვრიდან (ტინიბიდის პირდაპირ) ლიახვის მარჯვენა ნაპირზე შინდისზე, რადგანაც დიდრონ, მდიდარ სოფლებს გაუვლის და გზაც მოკლეა და სწორი. ჭეჟვრისხეველ მოქალაქე ერისთავს გამოუგონია ისეთი მანქანა, რომელსაც წყალი შიუყვანს მაღლა. მან ხმოსნებს გააცნო ეს მანქანა და გამოსცადა. მანქა-

ნა შესანიშნავია თავისი მარტივი კონსტრუქციით და დიდი ძალით, რომ გაუჯობესდეს შეიძლება მისი გამოყენება მინდვრების მოსარწყავად. ყრილობამ დაავალა გამგეობას ხელი შეუწყოს ერისთავს მანქანის გაუჯობესებაში. ტრანსპორტის შესახებაც ეცადება გამგეობას მოელაპარაკოს მთავრობას, აუხსნას მას რამდენად საჭიროა მაზრაში საბარგო ავტომობილები მეურნეობაში და სურსათის საქმეში, აგრეთვე გზებს გაყვანაში. კერძო მეეტლეები გორიდან ცხინვალამდის—30 ვერ ია—კაცზე ოცი თუმანს იღებენ. ტრანსპორტის მოწყობა ცხინვალის გზაზე ალაგმავდა მეეტლეების თავხედობას.

ამიტომ საჭიროა რამოდენიმე საბარგო და საგზაო ავტომობილი. სასურსათო განყოფილების გამგის პ. ეფრემიძის თხოვნით ყრილობამ მოისმინა მთავრობის რწმუნებულების მ. კორენეკის მოხსენება სიმინდის შესახებ. მაზრაში 500 წისქვილი ყოფილა აწერილი და მოკლე ხანში რეგისტრაციაზე შეუკრეფია რვა ვაგონამდის პური. მთავრობას ახლა რეკვიზიცია მოუხდენია და წისქვილებიც გაუნთავისუფლებია. მაგრამ თითონ სოფლები თხოულობენ თურმე წისქვილების დაბეგრას, ან სულ აკრძალვას. ამიტომ ერობას შეუძლიან ჩაეწეროს საქმეში და შესაფერისად მოაწყოს. შეიძლება სოფლებთან დაიწყოს ქვილესთან შეთანხმებით ერობამ შელავათიან ფასებში დინარჩუნოს ნაწილი წისქვილის შემოსავლისა. ამიტომ შეიძლება გამოდგეს უკვე არსებული ალტა. ყრილობა ანდა დართო გამგეობას ეს საკითხი მოაწყოს. სხვათა შორის, შემოსავლის სხვადასხვა წყაროებიდაც ჩამოაგდეს ლ. პარკა ხმა ნენეში, მაგალითად სოფლიო გადასახადზე, ხე ტყეს მასალაზე, მინერალურ წყაროებზე, მოკლე ვადიან სესხზე, წყაროებზე და სხვა. გორის მაზრიდან გადის აყარეული ხელი, კომბოსტო, პური, ლობიო და სხვა. შეიძლებოდა ერობას საფეთო გადასახადი დადგინდა. ბორჯომის ხე-ტყის მასალა სპეკულიანტებს უვარდებათ ხელში იმ დროს, როცა ერობას ორი ქარხანა აქვს, შეუძლიან ბორჯომიდან ჩამოტანილი ხეები დახერხოს და დახერხული მასალაც მიიღოს და ამით ლაგამი ამოსდოს გაუმაძღარ სპეკულიანტებს. გორში ვიდაც დავიდოვი ბორჯომში ყიდულობს მასალას 6 მანეთად ფოთს და თითონ კი 12 მანეთად ჰყიდის. ყრილობამ დაავალა გამგეობას ამის შესახებ მიელაპარაკოს სამინისტროს და ხე-ტყის ექსპლოატაცია თავის ხელში აიღოს. ასევე მოიქცეს მინერალურ წყლების შესახებ. ...ძეს ერობის მეგობარ საბუღალტერიამ ეს სასარგებლო საქმეც ერობას უნდა გადაეცეს. ერობამ უნდა მ აწყოს აგრეთვე საპონის წუ წუმის, შაქრის და სხვა ქარხნები კოოპერატივებისა და სახალხო ბანკების საშუალებით.

ერობამ კულტურული ძალები უნდა შემოიკრიბოს, მა წყოს სპეციალ სტენი და მეცნიერება, წარმოება ალორძინების ნიადაგზე დაყენოს. გოგია.

ინდრო ქორიფაძე

ახლა ... ინდრო ქორიფაძე გვ... ... ...